საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

№3-243

01.08.2018

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

საკითხს აშუქებს მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge

საკითხი: სურსათთან დაკავშირებული რისკის შეფასება

ბატონო ლევან,

ჩვენი ორგანიზაცია წლების განმავლობაში აკვირდება და შეძლებისდაგვარად მხარს უჭერს საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში მიმდინარე რეფორმებს. 2012 წლიდან დღემდე ამ მიმართულებით ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. თუმცა, გადასალახია სიღრმისეული პრობლემები, რომლებიც სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას უშლის ხელს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია რისკის შეფასება, რაც, როგორც მოგეხსენებათ, სურსათის უვნებლობის სისტემის საფუძველთაგანს წარმოადგენს.

ვთვლით, რომ ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2014 წელს სურსათის სფეროში რისკის შეფასების უფლებამოსილების მინიჭება სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის. თუმცა, საქმიანობის 4 წლის შედეგები, სამწუხაროდ, არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შევაფასოთ.

ქვეყანაში არის რისკის შეფასებისათვის საჭირო მონაცემების, მეცნიერული კვლევების, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დეფიციტი. გასაგებია, რომ ამ საკითხების მოგვარება რამდენიმე წელიწადში შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია დაისახოს მოგვარების მწყობრი გეგმა და თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგას. დღესდღეობით კი, ჩვენი დაკვირვებით შემდეგი სურათი იკვეთება:

1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ანგარიშები მიუთითებს, რომ მის მიერ რისკის შეფასებების განხორციელების წინაშე არსებული დიდი დაბრკოლება შესაბამისი მონაცემების სიმწირეა, რომელთა მოპოვებაც ცენტრის შესაძლებლობებს აღემატება. ამ მიმართულებით დაგეგმილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წწ. სტრატეგიის სამოქმედო გეგმით 2016-2017 წლებში იყო გათვალისწინებული, არის „6.1.4. მოსახლეობის "ფაქტიური კვების" შესწავლა EFSA-ს მიერ ჰარმონიზებული მეთოდოლოგიით“, რაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ განხორციელდა, სათანადო სახსრების უქონლობის გამო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში შემდეგიც კია აღნიშნული: „მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული პროგრამის გადახედვა და მისი განხორციელების საჭიროების დადგენა“.

2. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს 2016 წლიდან დღემდე სურსათთან დაკავშირებული არც ერთი რისკის შეფასება არ დაუსრულებია.

2017 წელს ცენტრმა 5 საკითხზე დაიწყო რისკის შეფასება, თუმცა, ვერც ერთი ეს კვლევა ბოლომდე ვერ მიიყვანა. 2018 წელს კი არც ერთ ახალ რისკის შეფასებაზე არ დაუწყია მუშაობა. გასაგებია, რომ ასეთ კვლევებს დრო სჭირდება, მონაცემების სიმწირე ამას ხელს უშლის, მაგრამ ყველა კვლევის ასეთი გახანგრძლივება ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობასთან დაკავშირებით სერიოზულ კითხვებს ბადებს, რაც კიდევ უფრო მძაფრდება ცენტრის საქმიანობის ანგარიშების გაცნობის შემდეგ, სადაც დაკონკრეტებულია იმ აქტივოებების ვადები, რაც კვლევების პროცესში განხორციელდა.

3. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. ცენტრიდან გამოთხოვილი 2017 წლის საქმიანობის წლიური ანგარიში არასწორად ასახავს სურსათის სფეროში რისკის შეფასების მიმართულებით გაწეულ საქმიანობას. ანგარიშში მითითებულია, თითქოს ცენტრმა შეიმუშავა რეკომენდაციების სამუშაო ვერსია და გადაუგზავნა რისკის მმართველებს შემდეგ თემებზე:
   - მონიტორინგის განხორციელებისა და შედეგების რისკის შეფასების მიზნით გამოყენების შესაძლებლობები და განუსაზღვრელობები;
   - სურსათში აკრილამიდის რისკი;
   - სურსათში ტყვიის რისკები.

   თუმცა, რისკის შეფასების სამსახურის 2017 წლის დეტალური ანგარიშიდან ჩანს, რომ ზემოაღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება, რაც ცენტრმა ჩვენთან მიმოწერისას დაადასტურა კიდეც.

   აღსანიშნავია, რომ ეს მცდარი ინფორმაცია ასევე შესულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის სოფლის მეურნეობის მიმართულებით შემუშავებულ ანგარიშშიც.

   ჩვენი წერილობით თხოვნის (26.07.2018) მიუხედავად, ცენტრს არ მოუწოდებია და არც გამოუქვეყნებია თავისი 2017 წლის ანგარიშის შესწორებული ვერსია. ცენტრის ოფიციალურ ვებსაიტზე (http://srca.gov.ge) მხოლოდ 2014 წლის ანგარიშია გამოქვეყნებული.

4. წლიური ანგარიშების გარდა, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვებსაიტზე არ არის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დიდი ნაწილი. ჩვენი წერილობითი მოწოდების (12.06.2018) მიუხედავად, კანონმდებლობის ეს მოთხოვნა შესრულებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდეგ რეკომენდაციებს ვთავაზობთ:

1. შემუშავდეს იმ აქტივობების კომპლექსური გეგმა, რაც საჭიროა სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასებისათვის წინაპირობების შესაქმნელად (მონაცემების შეგროვების სისტემები, კვალიფიციური კადრების მომზადება) და დაიწყოს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით.
2. შეფასდეს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობა სურსათთან დაკავშირებული რისკების შეფასების კუთხით და

გატარდეს ზომები ამ მიმართულებით ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის მისაღწევად.

3. უზრუნველყოფილი იყოს ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. გავრცელდეს და გამოქვეყნდეს სწორი და სრული საჯარო ინფორმაცია.

იმედს ვიტოვებთ, რომ სურსათის უვნებლობის მიმართულებით მიმდინარე რეფორმებისათვის რისკის შეფასების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამონახავთ დროს ამ კუთხით არსებული სირთულეების მოსაგვარებლად. ჩვენი მხრივ, გამოვთქვამთ მზადყოფნას ამ საკითხებთან დაკავშირებით სათანამშრომლოდ.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე
აღმასრულებელი დირექტორი

დანართები:

- რისკის შეფასების სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა, პერიოდი: 2018 წლის იანვარი - ივნისი.
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წლიური ანგარიში, 2017 წელი.
- რისკის შეფასების სამსახურის 2017 წლის ანგარიში.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში, 2017 წელი, საქართველოს სოფლის მეურნეობა.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წწ. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების 2017 წლის ანგარიში.

ასლი: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორს, ბატონ ლევან უჯმაჯურიძეს.